საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ბრძანება

თბილისი

MES 7 21 0000608050

21/06/2021

„სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის N1245475 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (N335-IVმს-Xმპ; 16/03/2021) მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილესა და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილების განაწილების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 მარტის N258588 ბრძანების მე-4 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 13 მაისის N442645, 2021 წლის 10 ივნისის N555947 და 2021 წლის 15 ივნისის N574583 სა მსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის N1245475 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამა (პროგრამული კოდი - 32 05 04) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
მიცკევიჩი ნუნუ

ნ. მიცკევიჩი

დანართი

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამული კოდი 32 05 04

ქვეპროგრამა 2

სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა

პროგრამული კოდი - 32 05 04 06

2021

მუხლი 1.

ქვეპროგრამის დასახელება	სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	2021 წლის ივნისი - 2021 წლის დეკემბერი
ქვეპროგრამის ჯამური ბიუჯეტი	3,000,000.00 (სამი მილიონი) ლარი
ქვეპროგრამის ხელმძღვანელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიკკევიჩი
ბიუჯეტის განმკარგავი	სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ჯაბა სამუშია
ოპერაციული მენეჯერი	სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე ერეკლე ასტახიშვილი

მუხლი 2. ქვეპროგრამის აღწერა

სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის (შემდეგში - ქვეპროგრამა) კონკურსის წესით გაიცემა სამეცნიერო კვლევითი ინფრასტრუქტურის შესყიდვისათვის დაფინანსება, რომლებიც საშუალებას მისცემს სსიპ - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), მათ მმართველობის სფეროში შემავალ დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ერთეულებს გაიუმჯობესონ სამეცნიერო კვლევის გარემო, გაზარდონ მეცნიერთათვის თანამედროვე სამეცნიერო-კვლევით ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა, აამაღლონ საქართველოში სამეცნიერო კვლევების ხარისხი და ხელი შეუწყონ ქვეყანაში სამეცნიერო საქმიანობის პროგრესს.

მუხლი 3. ქვეპროგრამის მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), მათი მმართველობის სფეროში შემავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების აღჭურვა თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი აპარატურით, სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებით, კომპიუტერული ტექნიკით, საჭირო მასალებით, სათანადო ლიტერატურის შეძენის და არსებული სამეცნიერო-კვლევითი

აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის, აუცილებელი სახსრებით უზრუნველყოფა.

მუხლი 4. ქვეპროგრამის განხორციელების სტრატეგია

1. დაფინანსების გაცემას ახორციელებს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი).
1. ფონდი უზრუნველყოფს:
ა) დაფინანსების გაცემის მიზნით გასამართი კონკურსის პირობების, კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას და ანგარიშების ფორმების დამტკიცებას;
ბ) განაცხადების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას;
გ) საკონკურსო კომისიის შექმნას და მისი საქმიანობის წესის დადგენას;
დ) კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილი განაცხადების დამტკიცებას;
ე) კონკურსში გამარჯვებულ სუბიექტებთან დაფინანსების ხელშეკრულებების გაფორმებას.
3. გამარჯვებული პროექტი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებით.
4. დაფინანსების მოპოვება შესაძლებელია შემდეგ ლოტებში:
ა) განსაკუთრებულად პრიორიტეტული კვლევებისათვის საჭირო დანადგარები, აპარატურა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და მათი ცალკეული ნაწილები (150,000.00 და მეტი ლარის ღირებულების);
ბ) ძვირადღირებული სამეცნიერო დანადგარები და აღჭურვილობა (100,000.00-დან 149,999.00-მდე ლარის ღირებულების);
გ) სამეცნიერო დანადგარები და აღჭურვილობა, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდის შევსება, უცხოური ელექტრონული ლიტერატურის ბაზებზე წვდომა (მაქსიმუმ 99,999.00 ლარის ღირებულებს);
დ) რეაქტივები, რეაგენტები, ლაბორატორიული და საექსპერიმენტო სახარჯი მასალები (არაუმეტეს 25,000.00 ლარი ერთი განაცხადი);
ე) კომპიუტერები, პროგრამული უზრუნველყოფა, საბიბლიოთეკო ქსელისათვის საჭირო ელექტრონული ბაზები, სკანერები, ფოტო-ვიდეო გადაღებისათვის საჭირო ტექნიკა, სხვა კომპიუტერული აპარატურა და აქსესუარები (არაუმეტეს 15,000.00 ლარი ერთი განაცხადი);
ვ) ლიტერატურის შეძენა, თარგმნა, საავტორო უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯები (არაუმეტეს 10,000.00 ლარი ერთი განაცხადი).
5. საჭიროების შემთხვევაში, დაფინანსება შეიძლება მოიცავდეს ხარჯებს, რომლებიც უკავშირდება ტრანსპორტირებას, მონტაჟს, ხელსაწყოს სრულყოფილი ექსპლუატაციის სწავლებას, რემონტს, დაზღვევას, საბაჟო გადასახადს, საგარანტიო ან/და საბანკო მომსახურებას.
6. დაფინანსების მოპოვების მიზნით განაცხადის წარდგენა კონკურსანტს, მათ შემადგენლობაში შემავალი ერთი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულისთვის, შეუძლია მხოლოდ 2 ლოტში, დაუშვებელია ორივე ლოტი იყოს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ლოტებიდან. იმ შემთხვევაში თუ განაცხადი წარდგენილია ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, განსაკუთრებული კვლევების საჭიროებისათვის მას აქვს უფლება დამატებით შეიტანოს მე-3 განაცხადი ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ლოტში;
7. საკონკურსო ბიუჯეტის გადანაწილებას ლოტებს შორის წყვეტს საკონკურსო კომისია შემოსული განაცხადების შესაბამისად;

8. დაფინანსების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენა შეუძლიათ სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მათ შემადგენლობაში შემავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულებისათვის, კერძოდ:

ა) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს
ა.ა) ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
ა.ბ) რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი
ა.გ) არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ა.დ) მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი
ა.ე) ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი
ა.ვ) შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
ა.ზ) ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი
ა.თ) ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი
ა.ი) კავკასიის ალ. თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი
ა.კ) ანდრია რაზმაზის მათემატიკის ინსტიტუტი
ა.ლ) ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი
ა.მ) პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
ა.ნ) ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ა.ო) თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი
ა.პ) პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
ა.ჟ) მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
ა.რ) ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ბ) სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბ.ა) ბიოტექნოლოგიის ცენტრი
ბ.ბ) ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი
ბ.გ) ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი
ბ.დ) ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
ბ.ე) ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი
ბ.ვ) ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი
ბ.ზ) ი. ჯორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი
ბ.თ) სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო - ტექნოლოგიური ცენტრი
ბ.ი) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ,,ტალღა"
ბ.კ) ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ბ.ლ) კვების მრეწველობის ინსტიტუტი
ბ.მ) მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი
ბ.ნ)არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი
ბ.ო) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი "ტექინფორმი"
ბ.პ) კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტი

გ) სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
გ.ა) ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი
გ.ბ) იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი

დ) სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

დ.ა) გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
დ.ბ) ბოტანიკის ინსტიტუტი
დ.გ) დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი
დ.დ) ზოოლოგიის ინსტიტუტი
დ.ე) პოლიტოლოგიის ინსტიტუტი
დ.ვ) დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი
დ.ზ) სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი
დ.თ) დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
9. კონკურსის ეტაპებია:
ა) კონკურსის გამოცხადება;
ბ) განაცხადების ფონდში წარდგენა;
გ) განაცხადების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენა;
დ) განაცხადების შეფასება;
ე) გამარჯვებული პროექტების გამოვლენა, დამტკიცება და ხელშეკრულებების გაფორმება.
10. ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის საკონკურსო კომისიას და ადგენს მისი საქმიანობის წესს.
11. კომისია შემოსული განაცხადების საფუძველზე და საკონკურსო ბიუჯეტის გათვალისწინებით განსაზღვრავს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ საკონკურსო ლოტებს შორის თანხის განაწილებას;
12. განაცხადების შეფასება ხორციელდება კომისიის მიერ, რომელიც შედგება:
ა) სამინისტრო (2 წევრი);
ბ) ფონდი (2 წევრი);
გ) სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (1 წევრი);
დ) სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (1 წევრი)
ე) სსიპ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (1 წევრი);
ვ) დარგობრივი ექსპერტები (საჭიროების შემთხვევაში).
13. კომისია განაცხადებს აფასებს შემდეგი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით:

N	კრიტერიუმი	სუსტი	საშუალო	კარგი
1	რამდენად შეუწყობს ხელს პროექტი სამეცნიერო კვლევის განვითარებასა და გაფართოებას	1-4	5-7	8-10
2	განაცხადის კავშირი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიზნობრივ საკვლევ პროექტთან	1-4	5-7	8-10
3	რამდენად ფართოა მკვლევართა და საკვლევი თემატიკის წრე (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერები), რომლისთვისაც სასარგებლო იქნება ახალი ტექნოლოგიების ათვისება/ახალ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობა	1-4	5-7	8-10
4	ბიბლიოთეკის (როგორც სხვა სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისაგან განსხვავებული	1-4	5-7	8-10

	სპეციფიკური დაწესებულების) საწიგნო ფონდის განახლების, საავტორო უფლების მოპოვების, თარგმანის აქტუალობა და მნიშვნელობა სამეცნიერო საზოგადოებისათვის და მასალებზე ღია წვდომა			
	ჯამური ქულა			
შემაჯამებელი კომენტარი:				

14. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ლოტებში წარმოდგენილი განაცხადები შეფასდება ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული 1, 2 და 3 კრიტერიუმებით, ხოლო სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის (როგორც სხვა სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისაგან განსხვავებული, სპეციფიური დაწესებულების) განაცხადის, ასევე, თარგმანთან, საავტორო უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული განაცხადების შეფასება განხორციელდება ამ მუხლის მე-13 პუნქტის მე-4 კრიტერიუმით;
15. ფონდი განახორციელებს დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების პროგრამულ მონიტორინგს, რომლის განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით.

მუხლი 5. ქვეპროგრამის მიზნობრივი ჯგუფი

ქვეპროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათ შემადგენლობაში შემავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულები, კერძოდ ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულებები.

მუხლი 6. მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები აღჭურვილი იქნება საჭირო თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი აპარატურით, თანამედროვე კვლევითი ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი იქნება საქართველოში მოღვაწე მეცნიერთათვის.

მუხლი 7. ქვეპროგრამის სპეციფიური ამოცანები, ვადები და შესაბამისი აქტივობები:

№	ამოცანა	აქტივობები	ვადები
1.	კონკურსის გამოცხადება	ელექტრონული ბაზის მომზადება, კონკურსის კოორდინირება კონსულტაციები.	2021 წლის ივნისი 2021 წლის ივლისი

2.	პროექტების შეფასების ადმინისტრირება	საკონკურსო კომისიის შექმნასთან და მის მუშაობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმიანობა	**2021 წელის ივლისი - აგვისტო**
3	დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა და დაფინანსება	კომისიის მიერ გამოვლენილი პროექტების დამტკიცება, დაფინანსების ხელშეკრულებების გაფორმება და თანხების გადარიცხვა	**2021 წელის აგვისტო - სექტემბერი**

მუხლი 8. ქვეპროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციები/ვალდებულებები

პასუხისმგებელი უწყება/სტრუქტურული ერთეული/ პოზიცია	**ფუნქციები/ვალდებულება**
ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტი	კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო დოკუმენტაციის დამტკიცება, კონკურსის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების შემუშავება და დამტკიცება
ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტი	ქვეპროგრამის ადმინისტრირება
ფონდის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური	კონკურსისათვის საჭირო ელექტრონული ბაზის აწყობა
ფონდის საფინანსო ეკონომიკური დეპარტამენტი	ქვეპროგრამის ფინანსური მართვა ადმინისტრირება

მუხლი 9. ქვეპროგრამის ბიუჯეტი საბიუჯეტო მუხლების მითითებით:

დასახელება	**2021 წელი**
სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა	**3,000,000.00**
გრანტები	3,000,000.00
ჯამი:	**3,000,000.00**

მუხლი 10. მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები მიმდინარე წლისთვის

10.1 საბაზისო მაჩვენებელი - არსებული რეალობის ამსახველი ინდიკატორი - 0

10.2. მიზნობრივი მაჩვენებელი - დაფინანსებული პროექტების რაოდენობა

10.3. ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) – 30%

10.4. რისკები და მათი დაძლევის გზები: არასათანადოდ წარმოდგენილი პროექტები ან დაფინანსების მაძიებელთა მხრიდან ნაკლები დაინტერესება

რისკები	**რისკების იდენტიფიკაცია**	**რისკების დაძლევის გზები**
1. არასათანადოდ წარმოდგენილ პროექტები	1. ტექნიკური ექსპერტიზა	1. ხარვეზის გამოსწორების ვადა
2. დაფინანსების მაძიებელთა მხრიდან გ ნაკლები დაინტერესებ	2. განაცხადების რაოდენობა	2. პროგრამის პოპულარიზაცია მიზნობრივი ჯგუფებისათვის
2. ბიუჯეტის აუთვისებლობა	3. სამეცნიერო კვლევითი ერთეულების მიერ თანხის აუთვისებლობა	3. შესყიდვების დროული დაგეგმვა